ბრძანება

25 იუნისი 2019 წ. თბილისი № 741/05

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 28 მაისის N594/05 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუსლისა და სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე–14 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 28 მაისის N594/05 ბრძანების „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაციის ავსტრიაში მივლინების შესახებ“ :

ა) 1.1 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 1.1 რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ბავშვთა და მოზარდთა ყბა–სახის ქირურგიისა და ქირურგიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 2019 წლის 25 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით.“

ბ) 1.2 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 1.2 პროფესორი რიმა ბერიაშვილი ვიცე–რექტორი, ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 2019 წლის 25 აგვისტოდან 29 აგვისტოს ჩათვლით.“

გ) 1.3 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 1.3 პროფესორი გაიანე სიმონია, სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, გერიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 2019 წლის 25 აგვისტოდან 29 აგვისტოს ჩათვლით."

დ) 1.4 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 1.4 სალომე ვორონოვი – სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 2019 წლის 25 აგვისტოდან 29 აგვისტოს ჩათვლით."

ე) პირველ პუნქტის 1.4. ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს 1.5. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 1.5 პროფესორი ხათუნა თოდაძე ვიცე–რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 2019 წლის 25 აგვისტოდან 29 აგვისტოს ჩათვლით."

2. შევიდეს ცვლილება მეორე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 2. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის 1.1; 1.2; 1.3 და 1.4 ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირთა, კონგრესში მონაწილეობის რეგისტრაციის თანხის ანაზღაურება თითოეულ პირზე 450 ევროს ოდენობით, ხოლო 1.5 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის ხათუნა თოდაძის რეგისტრაციის თანხის ანაზღაურება 525 ევროს ოდენობით, ასევე წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებულ პირთა მგზავრობის, საცხოვრებლის და სადღეღამისო ხარჯის ანაზღაურება."

3. დაემატოს მე–4; მე–5 და მე–6 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 4. პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას მივლინებაში ყოფნის პერიოდში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შესრულება დაევალოს კანცლერს, პროფესორ ზურაბ ორჯონიკიძეს.

5. პროფესორ ხათუნა თოდაძის მივლინებაში ყოფნის პერიოდში ვიცე–რექტორის მოვალეობის შესრულება დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროფესორ ირინე კვაჭაძეს.

6. გაიანე სიმონიას მივლინებაში ყოფნის პერიოდში, სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შესრულება დაევალოს მთავარ სპეციალისტს, ეკატერინე კვანტალიანს. "

3. ბრძანება დაეგზავნოს: კანცლერს, რექტორის და კანცლერის აპარატში შემავალ სამსახურებს, დეპარტამენტებს, თსსუ–ის კლინიკებს, პროფესორ რიმა ბერიაშვილს, პროფესორ გაიანე სიმონიას, პროფესორ ხათუნა თოდაძეს, რექტორის აპარატის

უფროსს ირინა კაპეტივაძეს, სალომე ვორონოვს, ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტს, ფაკულტეტების დეკანატებს, პროფესორ ირინე კვაჭაძეს, ეკატერინე კვანტალიანს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

საფუძველი: სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ გაიანე სიმონიას განცხადებები (N819405 20.06.2019წ) (N769512 17.06.2019წ) და მიწვევები.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი